თანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს შორის

ერთი მხრივ, საქართველოს კონკურენციის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის - ნოდარ ხადურის სახით და მეორე მხრივ, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომში - სამსახური), წარმოდგენილი მისი უფროსის - იური დოლიძის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი მხარეებად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე თანამშრომლობის მემორანდუმს (შემდგომში - მემორანდუმი).

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

მხარეებმა, თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, ამ მემორანდუმის შესაბამისად, უნდა გააძლიერონ თანამშრომლობა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში თავისუფალი კონკურენციის დაცვისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით.

მუხლი 2. თანამშრომლობის ფორმები

მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ შემდეგი ფორმების საშუალებით:

ა) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებისა და დარღვევათა პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ერთობლივი დაგეგმვა, განხილვა და ანალიზი;

ბ) შესაბამისი საქმის მოკვლევის/შესწავლის დროს წარმოშობილი საჭიროების გათვალისწინებით, სამსახურის მიერ, მის ხელთარსებული ფინანსური ანგარიშგებების მიწოდება სააგენტოსათვის;

გ) სააგენტოში ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში გამოვლენილ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევასთან/შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით სამსახურისათვის ინფორმაციის მიწოდება;

დ) მხარეთა წარმომადგენლების მიერ ერთმანეთისათვის კონსულტაციების გაწევა და მოსაზრებების გაზიარება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში კონკურენციის შესაძლო დარღვევის თაობაზე;

ე) შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს კანონმდებლობის სრულყოფის პროცესში სააგენტოს წარმომადგენელთა მონაწილეობა, კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფისა და ბარიერების შემცირების/აღმოფხვრის მიზნით;

ვ) მხარეთა ექსპერტებს შორის შეხვედრები ან/და კონსულტაციები ორმხრივი ინტერესის სფეროს კონკრეტულ საკითხებზე ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით;

ზ) მხარეთა მიერ ორგანიზებულ კონფერენციებზე, სემინარებზე და სხვა ღონისძიებებზე მონაწილეობა; ასევე, ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება;

თ) თანამშრომლობის სხვა ფორმები, შეთანხმებული მხარეთა მიერ.

მუხლი 3. თანამშრომლობის ფორმატი

1. წინამდებარე მემორანდუმი იდება მხარეთა შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და განვითარებისათვის და არ წარმოადგენს სავალდებულო შეთანხმებას.

2. ინფორმაციის გაცვლა მოხდება წინასწარ განსაზღვრული საკონტაქტო პირების მეშვეობით ან მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრების დროს.

3. კონკრეტული ღონისძიებების დღის წესრიგი, განხორციელების ადგილი და სხვა ელემენტები, მათ შორის ფინანსური ასპექტები, უნდა დადგინდეს ინდივიდუალურად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 4. ძალაში შესვლა და ხანგრძლივობა

1. წინამდებარე მემორანდუმი იდება განუსაზღვრელი ვადით და ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან.

2. მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, მემორანდუმის მოქმედების ვადის შეწყვეტამდე სულ მცირე სამი თვით ადრე.

მუხლი 5. ცვლილებები და დამატებები

1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით, მხარეთა ერთობლივი წინასწარი კონსულტაციების შემდეგ.

2. მემორანდუმში ცვლილებები ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

3. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პუნქტის გარეშეც.

მუხლი 6. დავის გადაწყვეტა

1. მემორანდუმის მოქმედებიდან ან განმარტებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.

2. წინამდებარე მემორანდუმით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მემორანდუმი ხელმოწერილია 2018 წლის 5 თებერვალს, თბილისში, ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემა მხარეებს.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სახელით	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სახელით
----------	----------
ნოდარ ხადური	იური დოლიძე
სააგენტოს თავმჯდომარე	სამსახურის უფროსი